ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კომისიის თავმჯდომარე - ანა ლორია
კომისიის წევრი - ბესიკ ქარცივაძე
კომისიის წევრი - ნათია ჩიტაშვილი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 20.01.2022
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 001/22

I შეკითხვა:
2013 წლიდან ადვოკატი საადვოკატო მომსახურებას უწევს ფიზიკურ პირს (შემდგომში კლიენტი) და ასევე, მის მიერ დაფუძნებულ კომპანია 1-ს.

2015 წელს კომპანია ერთმა შეიძინა 100 % წილი კომპანია 2-ში.

კომპანია ერთის და კომპანია ორის დირექტორი 2018 წლიდან არის ერთი და იგივე ფიზიკური პირი.

2019 წელს კომპანია 2-ში დაიწყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. კლიენტის და კომპანია 1-ის დირექტორის თხოვნით აღნიშნულ პროცესში ჩავერთე, როგორც კომპანია 2-ის წარმომადგენელი.

2020 წელს კომპანია 2 გადავიდა რეაბილიტაციის რეჟიმში, დაინიშნა რეაბილიტაციის მმართველი, რომელმაც ადვოკატზე გაცემული რწმუნებულებები გააუქმა და შეწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

კომპანია 2-ის რეაბილიტაციის მმართველმა 2021 წელს სარჩელით მიმართა სასამართლოს კლიენტის, კომპანია 1-ის, ასევე კომპანია 1-ის და 2-ის დირექტორის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. აღნიშნულმა პირებმა ადვოკატს მიმართეს თხოვნით წარმოადგინოს მათი ინტერესები აღნიშნულ დავაში. კომპანია 2-ისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევისას ადვოკატისთვის ვერ გახდებოდა ცნობილი ისეთი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც არ იცოდნენ კომპანია 2-ის დირექტორმა, მისმა დამფუძნებელმა (კომპანია 1) და ბენეფიციარმა მფლობელმა (კლიენტი).

სახეზე არის თუ არა ინტერესთა კონფლიქტი?

II ანალიზი:
შეკითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია ინტერესთა კონფლიქტის და კონფიდენციალობის პრინციპის მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით.

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).

ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი", მუხლი 6.2).

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4).

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად (ადოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1(ა).

არსებობს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის რამდენიმე წყარო. კერძოდ, კონფლიქტი შესაძლოა წარმოიშვას: „ადვოკატის რამდენიმე კლიენტს შორის; ადვოკატსა და კლიენტს შორის; ადვოკატის ყოფილ კლიენტსა და ამჟამინდელ და/ან პოტენციურ კლიენტს შორის; ადვოკატის კლიენტსა და მესამე პირს შორის, რომელთანაც დაკავშირებულია ადვოკატის ინტერესები" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში „ეთიკის კომისიის", 30.06.2020 წლის წერილობითი რეკომენდაცია 003/20). ყველა ამ წყაროს წარმოქმნისას, ადვოკატის ერთი პროფესიული ვალდებულება, (მაგ. კონფიდენციალობა) უპირისპირდება მეორე პროფესიულ ვალდებულებას (მაგ. კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებას).

ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა, მათ შორის კონფიდენციალობის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულება გააჩნია, არა მხოლოდ არსებული, არამედ ყოფილი და პოტენციური კლიენტების მიმართაც, რადგან კონფიდენციალობა არ არის შეზღუდული დროში (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1(ა)) და არ არის დაკავშირებული ადვოკატ-კლიენტის აქტიურ ურთიერთობასთან.

კომისიის შეფასებით, შეუთავსებელი ურთიერთობის შეზღუდვის ძირითადი მიზანი, არის ადვოკატის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და მისი პროფესიული ვალდებულებების შესრულების ხელშეშლის აღკვეთა.

საადვოკატო საქმიანობისას, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შეფასების დროს ადვოკატმა განსაკუთრებული გულიხმიერება უნდა გამოიჩინოს, რადგან აღნიშნულის განუსაზღვრებლობის შემთხვევაში და ინტერესთა კონფლიქტის არსებობის პირობებში წარმომადგენლობის განხორციელებამ შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს არსებულ კლიენტს ან ყოფილ კლიენტს. შედეგად, ადვოკატმა ინტერესთა კონფლიქტი უნდა განსაზღვროს არსებული პროფესიული სტანდარტების დაცვის გათვალისწინებით.

მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ არის კლასიკური ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე, რაც შეიძლება ყოფილ კლიენტთან დაკავშირებულმა პროფესიულმა საიდუმლოებამ გამოიწვიოს.

შეკითხვიდან ირკვევა, რომ თავდაპირველად, ადვოკატის კლიენტი იყო კომპანია 1 და მისი დამფუძნებელი. ივარაუდება, რომ ადვოკატს ჰქონდა კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე არსებულ ყველა ინფორმაციაზე სრული წვდომა და შესაბამისად, როგორც მის წარმომადგენელს აღნიშნულ ეტაპზე წარმოეშვა კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. ამავე დროს, (კომპანია 1-ის მიერ კომპანია 2-ის 100 %-იანი წილის შეძენის შემდეგ) ადვოკატი წარმომადგენლად ჩაერთო კომპანია -2-ის გადახდისუუნარობის საქმისწარმოებაში, როგორც კომპანია 2-ის ადვოკატი. შესაბამისად, ადვოკატის კლიენტი იყო როგორც კომპანია 1-ის დამფუძნებელი და კომპანია 1, ასევე კომპანია 2, რომელთა მიმართ ადვოკატს წარმოეშვა კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება იმ ინფორმაციაზე, რომელიც მისთვის ამ კლიენტების საქმეზე საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში გახდა ცნობილი. დამფუძნებელს, კომპანია 1-სა და კომპანია 2-ს შორის აღნიშნულ ეტაპზე, არ არსებობდა ინტერესთა დაპირისპირება ან კონფლიქტის წარმოქმნის რაიმე საფრთხე.

კომპანია 2-სა და ადვოკატს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომ ახალ სასამართლო დავაში ადვოკატის კლიენტების - კომპანია 1, კომპანია 1-ის და 2-ის დირექტორის ინტერესები დაუპირისპირდა კომპანია 2-ის ინტერესებს რეაბილიტაციის პროცესის ფარგლებში.

კოლეგია განმარტავს, რომ ყოფილ და არსებულ კლიენტს შორის ინტერესთა დაპირისპირების არსებობა არ არის უპირობოდ ინტერესთა კონფლიქტის დადგენის ინდიკატორი. შესაფასებელია რამდენად იქნება დაცული ყოფილი კლიენტის მიმართ არსებული პროფესიული პასუხისმგებლობა - ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება, რომელიც ადვოკატს ყოფილი კლიენტის მიმართ მუდმივად გააჩნია, რადგან კონფიდენციალობა არ არის შეზღუდული დროში.

ადვოკატის მიერ დამფუძნებლის, კომპანია 1-ისა და კომპანია 2-ის წარმომადგენლობის პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია ცნობილი უნდა ყოფილიყო ადვოკატის კლიენტებისათვის (დამფუძნებლის, კომპანია 1-ისა და კომპანია 2-ისათვის), რადგან ადვოკატს გააჩნია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6). რადგან შეკითხვაში მოცემული ფაქტები საპირისპიროს არ მიუთითებენ, კომისია ადგენს, რომ ადვოკატი იცავდა აღნიშნულ პროფესიულ ვალდებულებას და კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდიდა მის კლიენტებს (დამფუძნებელს, კომპანია 1-სა და კომპანია 2-ს მათი დირექტორის მეშვეობით). შესაბამისად, რადგან ახალ დავაში კომპანია 2-ის რეაბილიტაციის მმართველი უჩივის კომპანია 1-ს და კომპანია 1-ისა და კომპანია 2-ის დირექტორს (რომელიც ადვოკატთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი იყო), მოწინააღმდეგე მხარეს აღმოჩნდნენ ისეთი პირები, რომელთათვისაც კონფიდენციალური ინფორმაცია ცნობილი იყო და ბუნებრივია, ამ ინფორმაციას ისინი თავის სასარგებლოდ, ადვოკატის მონაწილეობის მიუხედავად, გამოიყენებენ. ადვოკატი ამ ურთიერთობაში არ არის პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რადგან ყველა ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის, როგორც ადვოკატისათვის გახდა ცნობილი, ასევე ცნობილი იყო მისი კლიენტებისათვის. მოცემულ შემთხვევაში, თავდაპირველი მომსახურების ფარგლებში კლიენტებს (როგორც კომპანია 1-ს, მის დამფუძნებელს, კომპანია 2-ს, შესაბამისად, მათ წარმომადგენელს - დირექტორს, როგორც ადვოკატთან ურთიერთობაში უფლებამოსილ პირს) გააჩნდათ საერთო ინტერესები და კომპანიების საქმიანობიდან გამომდინარე მათ მიმართ ადვოკატის პორფესიული პასუხისმგებლობა, როგორც „ერთი

კლიენტის“ მიმართ არსებობდა. საერთო ინტერესის არსებობის პირობებში, ადვოკატისთვის ამ წარმომადგენლობის დროს მიღებული ინფორმაცია არ წარმოადგენდა ერთმანეთისთვის (ყოფილი კლიენტისთვის, არსებული კლიენტებისთვის) მიუწვდომელ ინფორმაციას. ვინაიდან, მათი საქმიანობა ერთ ინტერესს ემსახურებოდა - ამ ფარგლებში უწევდა ადვოკატი მათ წარმომადგენლობას. შესაბამისად, სახეზე არ არის ინტერესთა კონფლიქტი, რადგან ის ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი იყო თავდაპირველი წარმომადგენლობის განხორციელებისას, ასევე, ცნობილი იყო მისი კლიენტებისათვის, რომლებიც ახალ დავაში მეორე მხარეს აღმოჩნდნენ. ამდენად, ადვოკატის ჩართულობის მიუხედავად, ამ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვისაც ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატის კლიენტები თავისთავად გამოიყენებენ მათი ინტერესების შესაბამისად ნებისმიერი ადვოკატის ჩართულობის პირობებში. შედეგად, ამ მოცემულობის ფარგლებში, ადვოკატის მონაწილეობა არ წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის იმ სახეს, რომელიც ყოფილი კლიენტის მიმართ არსებული კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულებიდან გამომდინარე შეიძლება შეიზღუდოს.

III დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ შეკითხვაში მითითებული კომპანიები, მათი დირექტორი და კომპანია ერთის დამფუძნებელი, როგორც ფაქტობრივად „ერთი კლიენტი“, ფლობენ მათ საქმესთან დაკავშირებულ სრულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, ადვოკატის ჩართვა ახალ საქმეში კომპანია 1-ის, კომპანია 1-ისა და კომპანია 2-ის დირექტორის სასარგებლოდ, რომლებიც ახალ დავაში წარმოადგენენ მეორე მხარეს, არ წარმოადგენს შეუთავსებელ ურთიერთობას, რადგან ამ კონფიდენციალურ ინფორმაციას თავად მხარე ფლობს, რომელსაც ამ კონკრეტული ადვოკატის ჩართულობის მიუხედავად, შეუძლია გამოიყენოს ეს ინფორმაცია მის სასარგებლოდ.

კოლეგია აქვე მიუთითებს, რომ რეკომენდაცია ეფუძნება იმ მოცემულობას, რაც ასახულია შეკითხვაში. დამატებითი ფაქტების არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა, შეფასება ყოფილიყო განსხვავებული. აღნიშნული ჰიპოთეტური ფაქტების ანალიზის საფუძველზე შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი არ იკვეთება.

შენიშვნა: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი /ბესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი /ნათია ჩიტაშვილი/